Gender and Law Moot Court 2019 case questions

წერილობითი რაუნდისთვის განკუთვნილი კითხვები

მოკლე წერილობითი მონახაზი წერილობითი რაუნდისთვის, სადაც შეგიძლიათ პასუხი გასცეთ შემდეგ კითხვებს:

- გარდა ფიზიკური ძალადობისა, ნათია უფლებების შელახვა რამე ფორმით ხდებოდა?
- რამდენჯერ მოხდა ინციდენტი ნათიასა და ლადოს შორის?
- შესაძლებელი იყო თუ არა ნათიას მკვლელობის თავიდან არიდება?
- შესაძლებელი იყო თუ არა ნათიას დაცვა მეუღლისგან? რა მექანიზმებით? ვის მიერ?
- რა არგუმენტებს მოიყვანდით ნათიას პოზიციის დასაცავად?
- რამდენად სწორად მოიქცნენ ნათიას და ლადოს მშობლები?
- რა შემთხვევებში უნდა მომხდარიყო ლადოს დაკავება?
- რამდენად ადეკვატური იყო სამართალდამცველთა ქმედება ლადოსა და ნათიას მიმართ?
- საქმეზე სამართლებრივი რეაგირების გათვალისწინებით, რამდენად ადეკვატურია ამ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით?
- საქართველოში რა კანონმდებლობა არსებობს ოჯახში ძალადობის საკითხებზე?
- ვინ და როგორ უნდა დახმარებოდა ნათიას?
- რა ინსტანციებს შეიძლება მიმართოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა და ოჯახის წევრებმა საქართველოში ამგვარი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში?
- იმსჯელეთ, რა სამართალდარღვევის ფაქტები შეიძლება, იყოს ამ ისტორიაში?
- რა სახის დანაშაული/დანაშაულები შეიძლება, შეერაცხოს ლადოს, და ისტორიის განვითარების რომელ ეტაპზე?
- რა მორალურ ნორმებს არღვევს ნათია?
- რამდენად ეფექტიანია სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება?
- დაეკისრება თუ არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის რომელიმე მუხლის/მუხლების დარღვევისთვის?
- შესაძლებლობა რომ გქონდეთ, მთავრობის ადგილას, რას შეცვლიდით ამ საქმის მსვლელობისას - კანონმდებლობა, სამართალდამცავთა ქმედება, ა.შ.?

გთხოვთ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველა კითხვა მოიცვათ თქვენ წერილობით პასუხში.